



კვლევის შუალედური შედეგები კითხვარი სპორტის სფეროს შესახებ 07.06. 2018

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს სპორტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის შუალედურ ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

სპორტის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისა და სფეროში არსებული პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც 2018 წლის 28 მაისიდან გავრცელდა სოციალური ქსელებითა და სხვა ინტერნეტ-საშუალებებით. რაოდენობრივი კვლევის პროცესი 2018 წლის სექტემბრამდე გაგრძელდება. კვლევაში მონაწილეობას შემთხვევითი პრინციპით არჩეული რესპონდენტები იღებენ.

2018 წლის 7 ივნისის მონაცემებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებული კითხვარი სპორტის შესახებ 348 ადამიანმა შეავსო.

გამოკითხულთა 76.2% პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში სპორტი ქართველი სპორტსმენების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული შედეგების მიმართულებით არის წარმატებული.

გამოკითხულთა 54.8% მიიჩნევს, რომ სპორტში სამოყვარულო დონეზე ჩართულობა ნაწილობრივ შეუძლია, 22% - სრულად არის ჩართული სასურველ სახეობაში, 12.4% აფიქსირებს, რომ არ შეუძლიათ ჩართვა, გამოკითხულთა 9,6% კი თვლის, რომ სრულად შეუძლიათ სპორტში სამოყვარულო დონეზე ჩართვა, თუმცა არ აქვთ სურვილი.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებს, 28,7% ასახელებს, რომ ჩართულები არიან (სულ მცირე თვეში 4 საათი) სამოყვარულო დონეზე და არიან სპორტული კლუბის/სექციის წევრები. გამოკითხულთა 21,8% იშვიათად არის სპორტული აქტივობით დაკავებული, 19,9% ჩართულია (სულ მცირე თვეში 4 საათი) სამოყვარულო დონეზე არაორგანიზებული ფორმით. გამოკითხულთა მხოლოდ 8,7% არის სპორტულ აქტივობებში პროფესიულ დონეზე ჩართული, ხოლო რეგულარულად მხოლოდ 0,3% ვარჯიშობს.

კითხვაზე - ხართ თუ არა ფიზიკურად აქტიური (სულ მცირე კვირაში 3 საათი) ნებისმიერი ფორმით, 43% აღნიშნავს, რომ ფიზიკურად აქტიურები არიან კვირაში სულ მცირე 3 საათი და მიზანმიმართულად ახორციელებენ ფიზიკურ აქტივობებს, ხოლო 14,3% ფიზიკურად აქტიური მოცემული დროის მიხედვით, აქტიური არ არის.

რესპონდენტების 57,5% სპორტის განვითარებაში უპირატესობას ანიჭებს სპორტული ორგანიზაციების როლს, ხოლო სახელმწიფოს როლის უპირატესობას აღიარებს 40,4%, გამოკითხულთა 28,1% კი გამოყოფს თავად მოსახლეობის როლს, მათ ინიციატივას. რესპონდენტებმა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ბიზნეს სექტორის (22,6%) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (19,6%) როლი.

რესპონდენტების უმრავლესობის, 85,1% აზრით, ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა სპორტის სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისა და მოსახლეობის ჩართულობის გაზრდისთვის უნდა განავითარონ სპორტული ინფრასტრუქტურა, 64,8% კი მიიჩნევს, რომ ხელი უნდა შეეწყოს სპორტული კლუბებისა და სექციების ფუნქციონირებას, ხოლო 57,4%-ის აზრით, ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გაზარდონ ადგილზე სამოყვარულო და პროფესიული სპორტული ღონისძიებების გამართვის ინტენსივობა. გამოკითხულთა 48,5%-მა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია სასპორტო განათლების ხელშეწყობა (კვალიფიკაციის ამაღლება).

გამოკითხული რესპონდენტების 45,4% მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე უფრო მეტად გაძლიერდა სპორტის განვითარების დინამიკა, 36,4%-ის პასუხია - „განვითარების დონე იგივეა“; 10,1% -ის - „არ მაქვს ინფორმაცია“; 7,2%-ის - „უფრო ნაკლებად განვითარებულია“.

გამოკითხული რესპონდენტების 36% მიიჩნევს, რომ მათი საცხოვრებელი ადგილის მდებარეობა გავლენას არ ახდენს სპორტულ აქტივობებში, სამოყვარულო ან პროფესიულ დონეზე ჩართვაზე, 31% ფიქრობს, რომ უარყოფით გავლენას ახდენს, 22,6% მიიჩნევს, რომ უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო 10,4%-ს არ აქვს პასუხი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

გამოკითხულთა 86% მიიჩნევს, რომ მასობრივი სპორტის განვითარებისთვის უნდა მოხდეს სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა/მშენებლობა, სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას მხარს უჭერს 68,9%, სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების გამართვას კი - 50,9%.

რესპონდენტების უმეტესობა - 70,3% ფიქრობს, რომ ყველაზე მეტად საჭიროა მასობრივი სპორტული ინფრასტრუქტურის (გარე სავარჯიშო მოწყობილობები, სარბენი ბილიკები, ველო ბილიკები, მინი მოედნები და სხვა) მოწყობა. 57,3% მიიჩნევს, რომ საჭიროა სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო თითქმის თანაბარი პროცენტი უკავიათ პასუხებს - „ინფრასტრუქტურა გამთრის სპორტისათვის (ყინულის მოედნები და სხვა)“ (47,1%) და „ინფრასტრუქტურა პროფესიული სპორტისათვის“ (46,5).

კითხვაზე, თუ რა მიმართულებით უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო სახსრები სპორტის განვითარებისთვის, აღინიშნა - „სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი“ (80,2%), მას მოსდევს „კვალიფიკაციური კადრების მომზადება (ფიზიკური აღზრდის პედაგოგები, მწვრთნელები, ინსტრუქტორები)“ 62,5%-ით, „სპორტის, ფიზიკური აქტივობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა“ - 51,9%-ით.

გამოკითხვისას მიღებული შედეგების მიხედვით, გამოიყო სამი ძირითადი ინდიკატორი სპორტის განვითარებისთვის: „საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული შედეგები“ (63%), „სპორტში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა“ (61,3%), „განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა“ (60,7%).

გამოკითხული რესპონდენტების 77% მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, მასობრივ სპორტზე ხელმისაწვდომობის ზრდას (60,9%), სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას (51,4%).

აღსანიშნავია, რომ კვლევისთვის შექმნილი კითხვარი მოიცავდა თავისუფალი კომენტარებისა და დამატებითი მოსაზრებებისთვის გამოყოფილ ბლოკს, რომელშიც დაფიქსირდა საკვლევ საკითხებთან შესაბამისი რეფლექსიები.

ქვემოთ მოცემულია ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

- რაგბის მიმართ ყურადღების გაზრდა.
- უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, ისეთი მასობრივი სპორტის სახეობის განვითარებაზე, როგორცაა - ყინულის ჰოკეი, შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ჰოკეის გუნდების რაოდენობის გაზრდა. აღნიშნული სპორტის მიმართ მედიის როლის ამაღლება, რათა მოხდეს აღნიშნული სპორტის სახეობაზე ინფორმირებულობის გაზრდა.
- საცურაო აუზი „ლაგუნა ვერეს“ ამოქმედება.
- მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია მედიის საშუალებით.
- სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ინსტიტუტების ფინანსური მხარდაჭერა.
- ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის აღმოფხვრა, როგორცაა ნეპოტიზმი.
- საკანონმდებლო დონეზე, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულ კერძო პირებზე და კომპანიებზე წამახალისებელი საგადასახადო შეღავათების დაწესება ყველა მიმართულებით, თუნდაც დროებითი, 5-10 წლით.
- სკოლის მოსწავლეებისთვის ვაუჩერების სისტემის შექმნა, სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის თანხის გადახდის პირობით.
- რეგიონული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, მაღალი პოტენციალის სპორტის მიხედვით (ლოკაციიდან გამომდინარე, მაგალითად - მესტიაში - მეკლდეურობა, ფოთში ნიჩბოსნობა).
- განსახორციელებელი პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგი, სტატისტიკური ანალიზების გაკეთება.

- ზამთრის სპორტის განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისი კვალიფიციური კადრების დასაქმება.
- სპორტის შესახებ ცნობიერების გაზრდა. წარმატებული სპორტსმენების პოპულარიზაცია, რაც შესაძლოა, იყოს მოტივაციის მიმცემი საზოგადოების გარკვეული წევრებისთვის.
- სპორტის ერთ-ერთი სახეობის, ფეხბურთის დაფინანსების შემცირება და ამის ნაცვლად ისეთი სახეობებისთვის ფინანსური ხელშეწყობა, როგორცაა: *ძიუდო, ჭიდაობა, ბრძოლა წესების გარეშე, ძალოსნობა*.
- სპორტსმენების ანაზღაურების გაზრდა.
- სპორტის ერთ-ერთ სახეობაზე - ჩოგბურთზე გადასახადის გაუქმება.
- საცხოვრებელ სახლებთან არსებულ სკვერებში მინიმალური სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.
- სპორტის ერთ-ერთი სახეობის - ცურვის გადასახადის შემცირება, რათა მოსახლეობის დაბალი ფენისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს.
- ბავშვებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული ნიჭით, სპორტის გარკვეულ სახეობებში, ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.
- ბილიარდის განვითარების ხელშეწყობა.
- ბიზნესს, რომელიც ღებს ინვესტიციას სპორტში, უნდა დაუნესდეს საგადასახადო შეღავათები.
- სპორტულ სკოლებში თუ სპორტ კომპლექსებში დასაქმებულ მწვრთნელებში უნდა მოხდეს რანგირება და სახელფასო სარგო განესაზღვროს თითოეულ მწვრთნელს მისი განათლების, კომპეტენციის და პროფესიონალიზმის ხარისხის მიხედვით.
- ფრენბურთის განვითარების ხელშეწყობა.